

შპს „ეკოლუქსი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	6
1. კორპორატიული ინფორმაცია.....	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	10
6. შემოსავლები	11
7. მიწოდების და მომსახურების ხარჯები.....	11
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	11
9. ძირითადი საშუალებები	12
10. მარაგები.....	12
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
12. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	12
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13
14. სესხები.....	13
15. დაკავშირებული მხარეები.....	13
16. პერიოდის შემდგომი მოვლენები	13

შპს ეკოლუქსი

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი	6	19,808	13,547
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(15,702)	(11,218)
საერთო მოგება		4,106	2,329
მიწოდების და მომსახურების ხარჯები	7	(2,258)	(578)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(585)	(869)
საოპერაციო მოგება		1,263	882
საპროცენტო ხარჯი, წმინდა		(155)	(155)
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებზე, წმინდა		(3)	-
მოგება დაბეგვრამდე		1,105	727
მოგების გადასახადის ხარჯი		(195)	(166)
წმინდა მოგება/(ზარალი)		910	561

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 1 ოქტომბერს.

დირექტორი

დავით იაღანაშვილი

შპს ეკოლუქსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	264	267
არამატერიალური აქტივები		30	27
სულ გრძელვადიანი აქტივები		294	294
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	10	275	286
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	1,642	2,517
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	1,367	950
სულ მიმდინარე აქტივები		3,284	3,753
სულ აქტივები		3,578	4,047
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		1,709	1,723
სულ კაპიტალი		1,709	1,723
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	13	1,000	1,353
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,000	1,353
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	775	868
საგადასახადო ვალდებულება		76	85
მოკლევადიანი სესხები	13	18	18
სულ მიმდინარე ვალდებულებები		869	971
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3,578	4,047

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 1 ოქტომბერს.

დირექტორი

დავით იაღანაშვილი

შპს ეკოლუქსი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერი 2021	-	2,030	2,030
სულ წლის სრული შემოსავალი	-	561	561
გაცემული დივიდენდი	-	(868)	(868)
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	-	1,723	1,723
სულ წლის სრული შემოსავალი	-	910	910
გაცემული დივიდენდი	-	(924)	(924)
ბალანსი 31 დეკემბერი 2023	-	1,709	1,709

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 1 ოქტომბერს.

დირექტორი

დავით იაღანაშვილი

შპს ეკოლუქსი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნები	2023	2022
მოგება დაბეგვრამდე		1,105	726
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	9	59	62
საპროცენტო ხარჯი		155	155
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		1,319	943
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		1,319	943
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებები:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/(შემცირება)		875	225
მარაგების ზრდა		11	(4)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		(93)	392
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		(9)	40
გადახდილი პროცენტი		(155)	(155)
გადახდილი მოგების გადასახადი		(195)	(165)
წმინა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		1,753	1,276
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(55)	(40)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(3)	(4)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		-	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა		(58)	(44)
წალდი ფული		(58)	(44)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან :			
სესხების აღებით მიღებული თანხები		5,590	2,281
სესხების გადახდით გასული თანხები		(5,944)	(2,074)
გაცემული სესხი		-	-
დივიდენდის გაცემა		(924)	(868)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა		(1,278)	(661)
ფულადი სახსრები		(1,278)	(661)
წმინდა ზრდა ფული და ფულის ეკვივალენტებში		417	571
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	12	950	379
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		1,367	950

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 1 ოქტომბერს.

დირექტორი

დავით იაღანაშვილი

შპს ეკოლუქსი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს ეკოლუქსი (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2013 წლის 29 მარტს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404984022.

ძირითადი საქმიანობა. შპს ეკოლუქსის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სურსათით, კერძოდ კი კვერცხით საბითუმო ვაჭრობა.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, რ.ხომელელის ქ. კორ. 5 ა ბ. 28

კომპანიის მეწილეები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არიან: დავით იაღანაშვილი - 50%, ვეფხვია ჯაჭვაძე - 50%.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

კომპანიის საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძველად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით ან განმარტებითი შენიშვნებით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის შპს „ეკოლუქსის“-ის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიას ასევე გააჩნია უცხოურ ვალუტაში ოპერაციები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან საქონლის მიყიდვის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

შპს ეკოლუქსი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.
- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით.

ძირითადი საშუალებების ცვეთის კოეფიციენტები:

ჯგუფი

ცვეთის კოეფიციენტები

ოფისის აღჭურვილობა

20%

ტრანსპორტი

20%

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველაწიარ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

ფინანსური ვალდებულებები - ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ექვექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

შპს ეკოლუქსი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

შპს ეკოლუქსი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

• **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

• **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობამ გამოავლინა შეცდომები.

შემდეგი ცხრილები აჯამებს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, 2022 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების და ამავე პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებებში განხორციელებულ შესწორებებს და რეკლასიფიკაციებს:

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,034)	166	(869)
მოგების გადასახადის ხარჯი	-	(166)	(166)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31 დეკემბერი 2022	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
მოკლევადიანი სესხები	1,371	(1,353)	18
გრძელვადიანი სესხები	-	1,353	1,353

შპს ეკოლუქსი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
წმინა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	966	310	1,276
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული	(40)	(4)	(44)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(355)	(306)	(661)

6. შემოსავლები

	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	19,686	13,514
შემოსავალი ადგილობრივი გადაზიდვიდან	-	3
სხვა სამეწარმეო შემოსავლები	122	30
სულ	19,808	13,547

7. მიწოდების და მომსახურების ხარჯები

	2023	2022
საშუამავლო მომსახურება	1,694	501
გადაზიდვის და ტრანსპორტირების ხარჯები ადგილობრივი	294	77
სხვა ხარჯი	270	-
სულ	2,258	578

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	339	545
საიჯარო ქირა	90	70
ცვეთა და ამორტიზაცია	59	62
იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯები	27	16
კომუნიკაციის ხარჯები	11	7
კომუნალური ხარჯები	2	8
ოფისის ხარჯები	-	3
სხვა საერთო ხარჯები	57	159
სულ ხარჯები	585	869

შპს ეკოლუქსი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. ძირითადი საშუალებები

	მიწა	ოფისის აღჭურვილობა	ტრანსპორტი	სულ
თვითღირებულება				
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	24	137	612	773
დამატება 2022	-	7	30	37
გასვლა 2022	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	24	144	642	810
დამატება 2023	-	4	51	55
გასვლა 2023	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	24	148	693	865
დაგროვილი ცვეთა				
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2021	-	56	192	248
წლის დარიცხვა 2022	-	13	46	59
წლის შემცირება 2022	-	0	0	-
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2022	-	69	238	306
წლის დარიცხვა 2023	-	10	49	59
წლის შემცირება 2023	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2023	-	79	287	365
საბალანსო ღირებულება				
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2021	24	81	420	525
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2022	24	75	405	504
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2023	24	69	407	500

10. მარაგები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
გასაყიდი საქონელი	275	286
სულ	275	286

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო მოთხოვნები	1186	1236
გაცემული ავანსები	456	1269
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	-	12
სულ	1642	2517

12. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1366	946
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	4
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1	-
სულ	1,367	950

შპს ეკოლუქსი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო ვალდებულებები	775	868
სხვა ვალდებულებები	-	-
სულ	775	868

14. სესხები

მსესხებელი	ხელშეკრულება	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სს "თიბისი ბანკი"	2447646-12185985	ლარი	9.5%	1,018	1,371
				1,018	1,371

15. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის მიერ 2023 წლის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეზე, კერძოდ, დირექტორზე გადახდილმა ხელფასმა შეადგინა 58,094 ლარი.

16. პერიოდის შემდგომი მოვლენები

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დაამტკიცა 2024 წლის 1 ოქტომბერს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.